



სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის გზამკვლევი  
ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

2016

## წინასიტყვაობა

„ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვის მასწავლებლის გზამკვლევი“ შედგენილია საქართველოს პროფესიული განათლების პედაგოგებისათვის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევის დამკვეთია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ის მოიცავს სახელოვნებო სავალდებულო პროფესიული მოდულის „ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვის“ ყველა სწავლის შედეგს. მისი მიზანია დაეხმაროს პროფესიულ მასწავლებლებს სტუდენტებისათვის აკადემიური ხატვის საწყისების ეფექტურ სწავლებას.

აკადემიური ხატვა - ეს არის საფუძველი ნებისმიერი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა შემოქმედმა ადამიანმა იცოდეს ხატვა. ნახატი - ადამიანს უვითარებს უნარს, რომ დააკვირდეს სამყაროს და ხატვის დროს ხელებიც უფრო მარჯვე და მოხერხებულია.

ხელოვნება ადამიანისთვის სულიერი და პრაქტიკული საქმიანობაა, რომელიც მიმართულია მხატვრული უნარების შესათვისებლად. საბოლოოდ, ამ საქმიანობის შედეგად იქმნება ხელოვნების ნიმუშები.

გზამკვლევის ავტორი: ნინო გზირიშვილი - (მხატვარ-დიზაინერი; ტექნიკური უნივერსიტეტის - აკად. დოქტორი; 2013 წლიდან ექსპერტ-ფასილიტატორი; პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილი ერთერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი; თბილისის ხელოვნების კოლეჯის - ხარისხის მართვის მენეჯერი).

რეცენზენტები:

თეა ზოდოკია - სამხატვრო აკადემიის ასისტენტ-პროფესორი; ავტორი წიგნისა „მოდის ლექსიკა“; ექსპერტ-ფასილიტატორი (მიღებული აქვს მონაწილეობა პროფესიული მოდულური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში და ასევე იყო მასწავლებლის სახლის ეგიდით ჩატარებული პროფესიული ტრენინგის ტრენერი) .

ირაკლი ფაჩულია - თბილისის ხელოვნების კოლეჯის დირექტორი; ყოფილი მ. თოიძის სახელობის სამხატვრო კოლეჯის დირექტორი (ჩართულია ყველა სახელოვნებო ახალი მოდულური პროგრამის შემუშავებაში).



## სარჩევი

წინასიტყვაობა	2
სარჩევი	3
შესავალი	5
სწავლის შედეგი 1	6
1.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა	7
1.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 1) (4 სთ)	7
1.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 1)	9
1.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 1) (5 სთ)	11
შედეგი 1-ის მტკიცებულება	12
1.5. სტუდენტის შეფასება - შესრულების მტკიცებულება	13
სწავლის შედეგი 2	15
2.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა	16
2.2. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 2) (6 სთ)	16
შედეგი 2-ის მტკიცებულება	17
2.3. სტუდენტის შეფასება - შესრულების მტკიცებულება	18
სწავლის შედეგი 3	20
3.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა	21
3.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 3) (3 სთ)	21
3.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 3)	23
3.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 3) (11 სთ)	24
შედეგი 3-ის მტკიცებულება	25
3.5. სტუდენტის შეფასება	26
სწავლის შედეგი 4	27
4.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა	28
4.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 4) (4 სთ)	28
4.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 4)	30

4.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 4) (16 სთ) -----	31
შედეგი 4-ის მტიცებულება -----	32
4.5. სტუდენტის შეფასება -----	34
სწავლის შედეგი 5 -----	36
5.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა -----	37
5.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 5) (4 სთ) -----	37
5.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტიცებულება (ტესტი - შედეგი 5) -----	39
5.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 5) (11 სთ) -----	40
შედეგი 5-ის მტიცებულება -----	41
5.5. სტუდენტის შეფასება -----	42
სწავლის შედეგი 6 -----	44
6.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა -----	45
6.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 6) (2 სთ) -----	45
6.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტიცებულება (ტესტი - შედეგი 6) -----	47
6.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 6) (37 სთ) -----	48
შედეგი 6-ის მტიცებულება -----	50
6.5. სტუდენტის შეფასება -----	52
რას ნიშნავს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება -----	54
სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოება -----	55
მასწავლებლის სარეკომენდაციო კალენდარული გეგმა -----	56
მოდულის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა -----	59



## შესავალი

მასწავლებლის გზამკვლევი არის პროფესიული პედაგოგის მეთოდური სახელმძღვანელო.

მეთოდური სახელმძღვანელო - მოიცავს ყველა იმ თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხს, რომელსაც გამოიყენებს მასწავლებელი აკადემიური ხატვის სხვადასხვა საშემსრულებლო ოსტატობის სტუდენტებისთვის ეფექტიანად შესასწავლად.

მოდული - „ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა“ ისწავლება სხვადასხვა პროფესიულ სახელოვნებო პროგრამაში (ტანსაცმლის მხარტვრული კონსტრუირების სპეციალისტი; ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი; დეკორატიული და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი; თექის ოსტატი და მქარგავი). იგი შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე საფეხურს. მოდულს აქვს 6 სწავლის შედეგი, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

1. ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადებას;
2. ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულებას;
3. ფურცელზე ნახატის კომპოზიციურ განაწილებას;
4. ნატურიდან სხვადასხვა საგნების ხატვას;
5. წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულებას;
6. ნატურმორტის ხატვას.

სწავლის თითოეული შედეგისთვის მოცემულია სხვადასხვა სავარჯიშოები და მათი გამოყენების მეთოდები მასწავლებელთათვის. გზამკვლევი ეფუძნება პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესის განმავლობაში.

გზამკვლევეში წარმოდგენილია რეკომენდებული დროითი ჩარჩო, რაც მასწავლებელს სამუშაო სქემის მომზადებაში დაეხმარება.

წინამდებარე გზამკვლევს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. მასწავლებელს შეუძლია დაამატოს ისეთი მასალა, რომელიც მოდულზე მუშაობის პერიოდში პროფესიულ სტუდენტს დაეხმარება მოდულის მისაღწევი შედეგის დაძლევაში. მოდულს თან ახლავს შეფასების ინსტრუმენტები თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომელსაც ასევე სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. შესაბამისად მასწავლებელს შეუძლია სწავლის შედეგების (შესრულების კრიტერიუმების) გათვალისწინებით, თავად შეიმუშაოს შეფასების ადეკვატური ინსტრუმენტები.

# სწავლის შედეგი 1

ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება



## 1.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 1	4	5	1	1	11

მოდულის მოცულობა კრედიტებში არის - 5კრ. / 125 საათი, რომელიც ნაწილდება 6 სწავლის შედეგზე.

საათების განაწილების მიხედვით პირველ შედეგში ისწავლება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობა. თეორიულ მეცადინეობას დათმობილი აქვს - 4 საათი, პრაქტიკულს - 5 საათი, დამოუკიდებელი არის მხოლოდ 1 საათი (სტუდენტი დამოუკიდებლად გაეცნობა მითითებულ ლიტერატურაში თეორიულ ნაწილს) და 1 საათი დათმობილი აქვს სტუდენტის შეფასებას (თეორიული და პრაქტიკული). ჯამში შედეგის განსახორციელებლად მითითებულია 9 საკონტაქტო, 1 დამოუკიდებელი და 1 შეფასების საათი.

**შენიშვნა** - მოდულის გამსახორციელებელ პროფესიულ სასწავლებელს, სწავლის დაწყებამდე შეუძლია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის საათების შეცვლა (მასწავლებელი თუ თვლის, რომ თეორიულ მეცადინეობას მეტი საათი აქვს ან პირიქით, შეუძლია მცირედით გადაანაცვლოს). მოდულის ჯამის - 125 საათის შეცვლა არ შეიძლება!.



### 1.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 1) (4 სთ)

#### ლექციის მიმდინარეობის აღწერა

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება არის განათლების მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება სტუდენტის შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე.


სწავლა სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ინტელექტუალურ გამოწვევად, რომ იქცეს, მასწავლებელმა თავისი სწავლება სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებით უნდა დატვირთოს.

სწავლის სარეკომენდაციო მეთოდები: ლექცია/ტექნიკური უნარების დემონსტრირება.

შესაძლებელია მასწავლებელმა ლექციის დროს გამოიყენოს სასწავლო რესურსები:

- ✚ სტუდენტის სახელმძღვანელო;
- ✚ მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო;

- ✦ დამხმარე ლიტერატურა;
- ✦ თვალსაჩინოება;
- ✦ ტექნიკური საშუალებები;
- ✦ ინტერნეტ რესურსი;
- ✦ და სხვა.



ლექციის დასაწყისში პედაგოგი გააცნობს სტუდენტებს განსახილველ თემატიკას.


#### სარეკომენდაციო თემატიკა

1. აკადემიური ხატვის სახელოსნო-სტუდიის აღწერა;
2. აკადემიური ხატვის (გრაფიკა, ფერწერა) სამუშაო ადგილის მომზადების წესი;
3. ფანქარში ხატვის ხელსაწყოებისა და მასალის სახეები;
4. ფერში ხატვის ხელსაწყოებისა და მასალის სახეები.


მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს ლექციის მიზანი და სავარაუდო შედეგი. მნიშვნელოვანი ამოცანაა სტუდენტთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

მასწავლებელი სტუდენტებს აცნობს როგორი სახელოსნო ესაჭიროება მხატვარს, რა სახის ინვენტარით უნდა იყოს აღჭურვილი, რა ხელსაწყოები და მასალაა საჭირო, რომ მხატვარმა აკადემიური საწყისების შესწავლის დროს კომფორტულად იგრძნოს თავი (ერგონომიკური ნორმები იყოს დაცული).

ლექციის ბოლოს, მასწავლებელმა სასურველია პროფესიულ სტუდენტებს დაუსვას წინასწარ მომზადებული კითხვები, რომელიც სტუდენტს უფრო აქტიურს და მოტივირებულს გახდის. მაგალითად: როგორი უნდა იყოს ხატვის სახელოსნო-სტუდია?, ხატვის დროს რომელი მხრიდან არის საჭირო განათება?, ან ჩამოთვალეთ ხატვისათვის საჭირო ინვენტარი? და ა.შ.



### 1.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 1)



#### კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით

ასეთი ტიპის დავალება ორი ნაწილისაგან შედგება. პირობის, რომელიც ჩამოყალიბებულია შეკითხვის ან არასასურველი მტკიცებულების სახით (ძირითადი მოცულობა) და პასუხების ვარიანტებისგან. სავარაუდო პასუხი ძირითადად 4 ან 5-ია, რომელთაგან სტუდენტმა სწორი ვარიანტი უნდა აირჩიოს.

საბოლოოდ ხდება პასუხების ტესტის გასაღებთან შედარება და სწორი პასუხების მიხედვით ქულების დათვლა. სწორ პასუხს ეწოდება საკვანძო, არასწორს - დისტრაქტორი (დამაბნეველი პასუხი). დისტრაქტორად ირჩევენ იმ ტიპურ შეცდომებს, რომელთაც ხშირად უშვებენ სტუდენტები.

**მოდული:** ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

**შედეგი № 1-ის** (სწორად აღწერს ხატვის ტექნიკურ საშუალებებს)

#### ტესტი

1. როგორი უნდა იყოს მხატვრის სასწავლო სტუდია-სახელოსნო?

ა) ნათელი და დიდი; ბ) პატარა და ვიწრო; გ) დიდი და ბნელი; დ) პატარა და ნათელი.

2. რამდენი მხრიდან უნდა იყოს განათება ხატვის სახელოსნოში?

ა) ორი - (სამხეთიდან და დასავლეთიდან); ბ) ერთი - (ჩრდილოეთიდან); გ) ორი - (აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან); დ) ერთი - (სამხრეთიდან).

3. რა შემთხვევაში შეიძლება მასალის დასადები ტუმბოს მარცხენა მხარეს მოთავსება?

ა) თუ სტუდენტი კარგად ვერ ხედავს; ბ) თუ სტუდენტი დაღლილია; გ) თუ სტუდენტი ცაციაა; დ) თუ სტუდენტი შორსმხედველია.

4. რაში იხსნება აკვარელის საღებავი?

ა) წყალში; ბ) ზეთში; გ) ნავთში; დ) წებოში.

## მაგალითი: 2

### „ჭეშმარიტია/მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები

„ჭეშმარიტია/მცდარია“ ტიპის შეკითხვას ორი შესაძლო პასუხი აქვს. ამ შემთხვევაში სტუდენტმა უნდა შეაფასოს დებულების ჭეშმარიტება ან მცდარობა.

„ჭეშმარიტია/მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები მაშინ გამოიყენება, როდესაც დიდი მოცულობის ცოდნა დროის მცირე მონაკვეთშია გადასამოწმებელი და ისეთ დებულებებს ვამოწმებთ, რომელთაც ორი ალტერნატიული პასუხი აქვთ. ასევე სწავლის შედეგების შესაფასებლად, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ ინფორმაციის გახსენებას ან განსხვავების უნარის დადგენას.

ვინაიდან „ჭეშმარიტია/მცდარია“ პასუხის შემცველ კითხვებში მაღალია შემთხვევით გამოცნობის ალბათობა, ცოდნის ობიექტურად შეფასების მიზნით შესაძლებელია სტუდენტს სთხოვოთ ახსნას, რატომ არის პასუხი „მცდარი“.

**მოდული:** ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

**შედეგი № 1-ის** (სწორად აღწერს ხატვის ტექნიკურ საშუალებებს)

### ტესტი

1. შვეული გამოიყენება დასახატი მოდელის გასაზომად

ა) *ჭეშმარიტია*      ბ) *მცდარია*

2. ფანქრის წასაშლელად გამოიყენება რბილი საშლელი

ა) *ჭეშმარიტია*      ბ) *მცდარია*

3. აკვარელის საღებავი ზეთში იხსნება

ა) *ჭეშმარიტია*      ბ) *მცდარია*

4. სამხატვრო სკამს ეწოდება ტუმბო

ა) *ჭეშმარიტია*      ბ) *მცდარია*

5. ჭიკარტით სახატავ დაფაზე ვამაგრებთ ფურცელს

ა) *ჭეშმარიტია*      ბ) *მცდარია*



## 1.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 1) (5 სთ)

### პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის აღწერა

მოდულის პირველი შედეგის პრაქტიკულ ნაწილში ისწავლება შემდეგი შესრულების კრიტერიუმები:

- ✚ მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს და აჩვენებს ხატვისათვის ტექნიკურ საშუალებებს (ინვენტარი, ხელსაწყოები, მასალა).
- ✚ მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს და აჩვენებს, როგორ მოამზადოს ხატვისათვის სამუშაო ადგილი (გრაფიკა, ფერწერა).
- ✚ მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს და აჩვენებს, როგორ მოამზადოს ხატვისათვის (გრაფიკა) საჭირო ხელსაწყოები. მაგალითად: სხვადასხვა ნომრის ფანქრის კარგად გათლა; სწორად შეარჩიოს სახატავი ფურცელი, საშლელი და სხვ.
- ✚ მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს და აჩვენებს, როგორ მოამზადოს ფერწერისათვის საჭირო ხელსაწყოები და მასალა. მაგალითად: სწორად შეარჩიოს აკვარელის საღებავისთვის ფუნჯები; მინის ქილაში ზომიერად ჩაასხას წყალი, მოამზადოს პალიტრა და სხვ.

პრაქტიკული სწავლების ბოლოს, მასწავლებლის მითითებით თითოეული სტუდენტი ასრულებს შენდევ ამოცანას - ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება.



### ცოდნის შეფასება



სწავლის შედეგის შესაბამისი ცოდნის მიღების დასადასტურებლად შესაფასებელი პირი ქმნის მტკიცებულებას. პრაქტიკული უნარების შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ:

- ✚ შესაფასებელმა პირმა იცის, რომ აფასებენ;
- ✚ შესაფასებელი პირი ინფორმირებულია, რა სახის უნარებისა და საქმიანობის შესრულების დემონსტრირებას ელიან მისგან;
- ✚ შემფასებლის ზედამხედველობა მაქსიმალურად მოკრძალებულად მიმდინარეობს.

მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს.

პრინციპი - ვალიდურობა, სანდოობა, საკმარისობა, ვადა, ხარისხი.

## სტუდენტის შეფასების დაგეგმვა

- ✚ დარწმუნდით, რომ არსებობს ყველა პირობა სტუდენტის შეფასებისთვის;
- ✚ განიხილეთ სტუდენტებთან შეფასების ვადები და პირობები;
- ✚ განუმარტეთ სტუდენტებს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი;
- ✚ დარწმუნდით, რომ სტუდენტმა გაიგო შეფასების პროცედურა.

## შეფასების განხორციელება

- ✚ დარწმუნდით, რომ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია აუცილებელი რესურსები;
- ✚ ყველა მონაწილე პირისთვის, შეფასების პროცესისთვის, უსაფრთხო გარემო უზრუნველყავით;
- ✚ ითანამშრომლეთ შეფასების პროცესში ჩართულ სხვა ადამიანებთან; მაგ., სხვა მასწავლებლებთან, შიდა შემმოწმებელთან, გარე შემმოწმებელთან და ა.შ.

## შედეგი 1-ის მტკიცებულება

ტესტი, შესრულების მტკიცებულება/პროცესზე დაკვირვების „check-list“ და შესრულებული დავალების ფოტო

შეგროვებული მტკიცებულებები განთავსდება მტკიცებულებათა „პორტფოლიოში“

მაგალითი (შესრულებული დავალების ფოტო)



1.5. სტუდენტის შეფასება - შესრულების მტკიცებულება

პროცესზე დაკვირვება- შედეგი 1 - „check-list“

მაგალითი:

პროფესიული სტუდენტი: -----


მოდული	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა																		
სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმი	ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება შესრულების კრიტერიუმები 2-5																		
შეფასების მიმართულება	შესრულების მტკიცებულება/პროცესზე დაკვირვება																		
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება																		
აღწერა	<p>პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.</p> <p>პრაქტიკული დავალება ეფუძნება სტუდენტის მიერ ინსტრუქციის სწორად შესრულებას და შედეგიდან ვალიდური დასკვნის გამოტანას.</p> <p>პრაქტიკული დავალება განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის იმ შედეგების შესაფასებლად, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების გამოყენებას, მასთან დაკავშირებულ ცოდნას და გაგების უნარს.</p>																		
შეფასების სქემა	<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება</th> <th colspan="2">შეფასება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>სწორად ირჩევს ხატვის სამუშაო ადგილს</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>სწორად ამზადებს ხატვის (გრაფიკა) სამუშაო ადგილს</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>3.</td> <td>სწორად ირჩევს ხატვის (გრაფიკა) ხელსაწყოებსა და მასალას</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> </tbody> </table>			№	ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება	შეფასება		1.	სწორად ირჩევს ხატვის სამუშაო ადგილს	დიახ	არა	2.	სწორად ამზადებს ხატვის (გრაფიკა) სამუშაო ადგილს	დიახ	არა	3.	სწორად ირჩევს ხატვის (გრაფიკა) ხელსაწყოებსა და მასალას	დიახ	არა
№	ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება	შეფასება																	
1.	სწორად ირჩევს ხატვის სამუშაო ადგილს	დიახ	არა																
2.	სწორად ამზადებს ხატვის (გრაფიკა) სამუშაო ადგილს	დიახ	არა																
3.	სწორად ირჩევს ხატვის (გრაფიკა) ხელსაწყოებსა და მასალას	დიახ	არა																

	4.	სწორად ამზადებს ხატვის (გრაფიკა) ხელსაწყოებსა და მასალას	დიახ	არა
	5.	სწორად ამზადებს ხატვის (ფერწერა) სამუშაო ადგილს	დიახ	არა
	6.	სწორად ირჩევს ხატვის (ფერწერა) ხელსაწყოებსა და მასალას	დიახ	არა
	7.	სწორად ამზადებს ხატვის (ფერწერა) ხელსაწყოებსა და მასალას	დიახ	არა
	8.	სწორად ამზადებს ხატვისათვის (გრაფიკა, ფერწერა) საჭირო სამუშაო ადგილს ერგონომიკის ნორმების დაცვით	დიახ	არა
<p>სწავლის შედეგი 1 დადასტურდება, <u>თუ სტუდენტი შეძლებს მინიმუმ 7 პუნქტის შესრულებას</u></p>				



# სწავლის შედეგი 2

ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური  
ხერხების შესრულება



## 2.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 2	0	6	4.5	0.5	11

საათების განაწილების მიხედვით მეორე შედეგში ისწავლება, მხოლოდ პრაქტიკული. პრაქტიკულ მეცადინეობას დათმობილი აქვს - 6 საათი, დამოუკიდებელი სამუშაო არის 4.5 საათი (სტუდენტი დამოუკიდებლად ასრულებს მასწავლებლის მიერ მითითებულ დავალებას) და 0.5 საათი დათმობილი აქვს სტუდენტის შეფასებას (პრაქტიკული). ჯამში შედეგის განსახორციელებლად მითითებულია 6 საკონტაქტო, 4.5 დამოუკიდებელი და 0.5 შეფასების საათი.



## 2.2. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 2) (6 სთ)

### პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის აღწერა

მე-2 შედეგის პრაქტიკული მეცადინეობის პირველ ეტაპზე, მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აჩვენებს ხატვის დროს ფანქრის დაჭერის პოზიციებს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. ხატვის დროს სახატავი დაფა ისეა დახრილი, რომ თვალის მზერა დაფის ცენტრისკენ იყოს მიმართული.

მეორე ეტაპზე ისწავლება ფანქრით სხვადასხვა ტონალობებისა და შტრიხების ტექნიკური ხერხები.

მაგალითად:

- ✚ ფანქრით შესრულებული გრადაცია (ღია ტონალობიდან მუქ ტონალობამდე);
- ✚ ქაოტური შტრიხები;
- ✚ ერთმანეთის პარალელურად მიწყობილი შტრიხები (დახრილი);
- ✚ ერთმანეთის პარალელურად მიწყობილი შტრიხები (ჰორიზონტალურ მდგომარეობაში);
- ✚ გადაკვეთილი შტრიხები;
- ✚ ოვალური ფორმის შტრიხები;


- ✚ შტრიხი - ჰორიზონტლური, დიაგონალური და ვერტიკალური მიმართულებით;
- ✚ და სხვა.

სტუდენტი დამოუკიდებელ სათებს იყენებს შტრიხების ვარჯისში, რათა ხატვის დროს ხელი გახდეს უფრო მარჯვე.

**შედეგი 2-ის მტიცებულება**  
**შესრულების მტიცებულება/პროცესზე დაკვირვების „check-list“ და შესრულებული ნამუშევარი**

შეგროვებული მტიცებულებები განთავსდება მტიცებულებათა „პორტფოლიოში“

მაგალითი (შესრულებული ნამუშევარი)



2.3. სტუდენტის შეფასება - შესრულების მტკიცებულება



პროცესზე დაკვირვება- შედეგი 2 - „check-list“

მაგალითი:

პროფესიული სტუდენტი: -----

მოდული	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა														
სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმი	ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება შესრულების კრიტერიუმები 1-3														
შეფასების მიმართულება	შესრულების მტკიცებულება/პროცესზე დაკვირვება														
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება														
აღწერა	<p>პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.</p> <p>პრაქტიკული დავალება ეფუძნება სტუდენტის მიერ ინსტრუქციის სწორად შესრულებას და შედეგიდან ვალიდური დასკვნის გამოტანას.</p> <p>პრაქტიკული დავალება განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის იმ შედეგების შესაფასებლად, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების გამოყენებას, მასთან დაკავშირებულ ცოდნას და გაგების უნარს.</p>														
შეფასების სქემა	<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება</th> <th colspan="2">შეფასება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>სწორად ირჩევს ფანქარს დავალების შესაბამისად (ინტენსიურობის გათვალისწინებით)</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>სწორად ასრულებს შტრიხების გრადაციას</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> </tbody> </table>			№	ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება	შეფასება		1.	სწორად ირჩევს ფანქარს დავალების შესაბამისად (ინტენსიურობის გათვალისწინებით)	დიახ	არა	2.	სწორად ასრულებს შტრიხების გრადაციას	დიახ	არა
№	ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება	შეფასება													
1.	სწორად ირჩევს ფანქარს დავალების შესაბამისად (ინტენსიურობის გათვალისწინებით)	დიახ	არა												
2.	სწორად ასრულებს შტრიხების გრადაციას	დიახ	არა												

	3.	სწორად ასრულებს პარალელურ შტრიხებს	დიახ	არა
	4.	სწორად ასრულებს ქაოტურ შტრიხებს	დიახ	არა
	5.	სწორად ასრულებს ოვალური ფორმის შტრიხებს	დიახ	არა
სწავლის შედეგი 2 დადასტურდება, თუ სტუდენტი შეძლებს მინიმუმ 4 პუნქტის შესრულებას				



# სწავლის შედეგი 3

ფურცელზე ნახატის  
კომპოზიციური განაწილება



### 3.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 3	3	11	5	1	20

საათების განაწილების მიხედვით მესამე შედეგში ისწავლება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობა. თეორიულ მეცადინეობას დათმობილი აქვს - 3 საათი, პრაქტიკულს - 11 საათი, დამოუკიდებელი საათი არის 5 საათი (სტუდენტი დამოუკიდებლად გაეცნობა მითითებულ ლიტერატურაში თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს) და 1 საათი დათმობილი აქვს სტუდენტის შეფასებას (თეორიული და პრაქტიკული). ჯამში შედეგის განსახორციელებლად მითითებულია 14 საკონტაქტო, 5 დამოუკიდებელი და 1 შეფასების საათი.



### 3.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 3) (3 სთ)

#### ლექციის მიმდინარეობის აღწერა

ლექციის დასაწყისში პედაგოგი გააცნობს სტუდენტებს განსახილველ თემატიკას.

#### სარეკომენდაციო თემატიკა


1. ვიზუალური კომპოზიციის (სიმძიმე - წონასწორობა, სიმეტრია - ასიმეტრია, სტატიკა - დინამიკა, რიტმი, პროპორცია, კონტრასტი, ნიუანსი) შესრულების მეთოდი;
2. მონოკომპოზიციის შესრულების მეთოდი;
3. გამომსახველობითი საშუალებების გადმოცემის მეთოდი.

მასწავლებელი განმარტავს:


- ✚ კომპოზიციის ძირითადი პრინციპებისა და კანონზომიერებების არსს;
- ✚ რას ნიშნავს სიტყვა კომპოზიცია;
- ✚ რამდენად მნიშვნელოვანია ნახატის კომპოზიციური განაწილება;
- ✚ როგორ უნდა განაწილდეს ფურცელზე კომპოზიცია (ნახატი) ისე, რომ არ დაირღვეს თანაფარდობა;
- ✚ საგნების ისე დანლაგებას, რომ მათი განლაგება კანონზომიერად იყოს დაცული;
- ✚ რას ნიშნავს კომპოზიციის (ნახატის) ძირითადი გამომსახველობითი საშუალებები - სიმძიმე, წონასწორობა, სიმეტრია, ასიმეტრია, სტატიკური, დინამიკური, პროპორცია, კონტრასტი, რიტმი, ნიუანსი, პლასტიკა და სხვ;
- ✚ რას ნიშნავს კომპოზიციის ძირითადი კანონები/მახასიათებლები - გამომსახველობითობა, მთლიანობა, დასრულებულობა, გაწონასწორებულობა, კომპოზიციის ცენტრი და სხვ;
- ✚ გრაფიკულ გამომსახველობით საშუალებებს - წერტილი, ხაზი, ლაქა და ფორმა
- ✚ მარტივ გეომეტრიულ კომპოზიციას;
- ✚ რთულ კომპოზიციას;
- ✚ კლასიკური ფორმების სტილიზაცია/ტრანსფორმაციას;
- ✚ მონოკომპოზიციას;
- ✚ ორნამენტს;
- ✚ კომპოზიციაში ტონალობების კომპოზიციურ განაწილებას.

ლექციის მეორე მონაკვეთის შემდეგ გამართეთ დისკუსია კითხვების დახმარებით. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტებში მონათხრობი თემისადმი მოტივაციას ამაღლებს, ხელს უწყობს ყურადღების მობილიზაციაში.

სწავლის შედეგის შესაბამისი ცოდნის მიღების დასადასტურებლად შესაფასებელი პირი ქმნის მტკიცებულებას.



### 3.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 3)



კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით (ამ ტიპის ტესტის განმარტება იხ. გვ 11.)

მოდული: ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

შედეგი № 3-ის (სწორად განმარტავს ვიზუალური კომპოზიციის ძირითად კანონზომიერებებს)

#### ტესტი

1. რა არის კონტრასტი?

ა) კორექტირება; ბ) მკვეთრად გამოხატული სხვაობა; გ) თანაბარი ზომა; დ) კონკრეტული ფერი.

2. რომელი გამომსახველობითი ფორმებით არის უკეთესი კომპოზიციის ხატვის შესწავლა?

ა) გეომეტრიული ფორმებით; ბ) მცენარეული ფორმებით; გ) ცხოველური ფორმებით; დ) ორნამენტით.

3. რა არის ასიმეტრია?

ა) სტატიკის უქონლობა; ბ) სიმეტრიის უქონლობა; გ) გეომეტრიული ფიგურა; დ) პარალელური ხაზი.

4. რას ნიშნავს ლათინურად კომპოზიცია?

ა) შექმნას, შედგენას; ბ) ნათელს, სხივს; გ) სამუშაოს; დ) დიდს, მოცულობითს.



### 3.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 3) (11 სთ)

#### პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის აღწერა

პირველ ეტაპზე მასწავლებელმა უმჯობესია პრაქტიკული მეცადინეობა დაიწყოს მარტივი სივრცობრივი ფორმების ხატვით. მაგალითად: ბრტყელი გეომეტრიული ფიგურებით, რომელთაც აქვთ გამოკვეთილი კონსტრუქციული აგებულება სასწავლო ნახატზე კომპოზიციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საგნის და მისი ნაწილების ისე განლაგება, რომ შეიქმნას ერთიანი, ჰარმონიული და გამომსახველობითი მთლიანობა.

პროფესიულ სტუდენტს მთავარია განუვითაროთ კომპოზიციური ხედვა, ამისთვის საჭიროა შემდეგი ვარჯიშები: ქაღალდზე დავხატოთ ერთი მარტივი საგანი და ჩავსვათ ჩარჩოში, როდესაც სტუდენტი რამოდენიმეჯერ სწორად შეასრულებს დავალებას, მაშინ შეიძლება ვარჯიშის გართულება - ქაღალდზე დავხატოთ უკვე 2 ან რამოდენიმე მარტივი საგანი და მიღებული კომპოზიცია ჩავსვათ ჩარჩოში.

სწავლების შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი სტუდენტს აჩვენებს, თუ როგორ უნდა დახატოს გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი მარტივი კომპოზიცია:

- ✚ ვიღებთ სახატავ ფურცელს (ვატმანი);
- ✚ ფურცელს ვამაგრებთ სახატავ დაფაზე;
- ✚ ვიმზადებთ ხატვისათვის საჭირო ხელსაწყოებს (კარგად გათლილი ფანქარი, სათლელი, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება სახაზავის გამოყენება);
- ✚ სახატავი ფურცლის ცენტრში მოვხაზავთ ჩარჩოს (დაახლოებით 12/12-ზე სმ.);
- ✚ ჩარჩოში ჩავხატავთ გეომეტრიულ ფიგურებს კომპოზიციის პრინციპების გათვალისწინებით;
- ✚ სხვადასხვა ფორმისა და ზომის გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციაში შეგვაქვს სამი ტონალობა/ფაქტურა (ფანქრით) - თეთრი, შავი და ზოლები. ეს სამი კონტრასტული ტონალობა/ფაქტურა ნაწილდება კომპოზიციის პრინციპების გათვალისწინებით;
- ✚ კომპოზიციას ვაძლევთ დასრულებულ სახეს.

გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციაში სტუდენტებს ხშირად უჭირთ ტონალობის/ფაქტურის სწორად განაწილება ისე, რომ ერთმანეთს არ დაემთხვეს. ამ შემთხვევაში უმჯობესია გეომეტრიული ფიგურა შევცვალოთ ან სხვა ფიგურა დავამატოთ.



მესამე ეტაპზე ისწავლება მარტივი თავისუფალი კომპოზიცია:

- ✚ სახატავ დაფაზე ვამაგრებთ სახატავ ფურცელს (ვატმანის ფორმატის მეოთხედი);
- ✚ ფურცელზე მოვნიშნავთ ჩარჩოს;
- ✚ მონიშნულ ჩარჩოში იხატება თავისუფალი კომპოზიცია;
- ✚ შესრულებულ კომპოზიციაში ვანაწილებთ სასურველ ტონალობას (შავ-თეთრი);
- ✚ საბოლოო სახის მისაცემად შესაძლებელია შავი ტუშის გამოყენება.

შედეგი 3-ის მტიცებულება  
ტესტი, შესრულების მტიცებულება/პროდუქტი „check-list“ და შესრულებული  
ნამუშევარი

შეგროვებული მტიცებულებები განთავსდება მტიცებულებათა „პორტფოლიოში“

მაგალითი (შესრულებული ნამუშევარი)




### 3.5. სტუდენტის შეფასება

#### პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება - შედეგი 3 - „check-list“

მოდული	ფანქრით და წყლის სადებავებით ხატვა																										
სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმი	ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება შესრულების კრიტერიუმები 2-3																										
შეფასების მიმართულება	პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება																										
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება																										
აღწერა	<p>პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.</p> <p>პრაქტიკული დავალება ეფუძნება სტუდენტის მიერ ინსტრუქციის სწორად შესრულებას და შედეგიდან ვალიდური დასკვნის გამოტანას. პრაქტიკული დავალება განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის იმ შედეგების შესაფასებლად, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების გამოყენებას, მასთან დაკავშირებულ ცოდნას და გაგების უნარს.</p>																										
შეფასების სქემა	<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება</th> <th colspan="2">შეფასება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>სწორად არის მოხაზული გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიციის ჩარჩო</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>კომპოზიციურად სწორად არის ჩარჩოში განაწილებული გეომეტრიული ფიგურები</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>3.</td> <td>სწორად არის გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციაში ტონალობა/ფაქტურა განაწილებული</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>4.</td> <td>კომპოზიციურად სწორად არის შესრულებული თავისუფალი კომპოზიცია</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>5.</td> <td>სწორად არის დამუშავებული (ფანქარი ან შავი ტუში) თავისუფალი კომპოზიცია</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> </tbody> </table> <p>სწავლის შედეგი 3 დადასტურდება, თუ სტუდენტი შეძლებს მინიმუმ 4 პუნქტის შესრულებას</p>			№	ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება	შეფასება		1.	სწორად არის მოხაზული გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიციის ჩარჩო	დიახ	არა	2.	კომპოზიციურად სწორად არის ჩარჩოში განაწილებული გეომეტრიული ფიგურები	დიახ	არა	3.	სწორად არის გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციაში ტონალობა/ფაქტურა განაწილებული	დიახ	არა	4.	კომპოზიციურად სწორად არის შესრულებული თავისუფალი კომპოზიცია	დიახ	არა	5.	სწორად არის დამუშავებული (ფანქარი ან შავი ტუში) თავისუფალი კომპოზიცია	დიახ	არა
№	ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება	შეფასება																									
1.	სწორად არის მოხაზული გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიციის ჩარჩო	დიახ	არა																								
2.	კომპოზიციურად სწორად არის ჩარჩოში განაწილებული გეომეტრიული ფიგურები	დიახ	არა																								
3.	სწორად არის გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციაში ტონალობა/ფაქტურა განაწილებული	დიახ	არა																								
4.	კომპოზიციურად სწორად არის შესრულებული თავისუფალი კომპოზიცია	დიახ	არა																								
5.	სწორად არის დამუშავებული (ფანქარი ან შავი ტუში) თავისუფალი კომპოზიცია	დიახ	არა																								

## სწავლის შედეგი 4

ნატურიდან სხვადასხვა საგნების დახატვა



#### 4.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 4	4	16	2	1	23

საათების განაწილების მიხედვით მეოთხე შედეგში ისწავლება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობა. თეორიულ მეცადინეობას დათმობილი აქვს - 4 საათი, პრაქტიკულს - 16 საათი, დამოუკიდებელი საათი არის 2 საათი (სტუდენტი დამოუკიდებლად გაეცნობა მითითებულ ლიტერატურაში თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს) და 1 საათი დათმობილი აქვს სტუდენტის შეფასებას (თეორიული და პრაქტიკული). ჯამში შედეგის განსახორციელებლად მითითებულია 20 საკონტაქტო, 2 დამოუკიდებელი და 1 შეფასების საათი.



#### 4.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 4) (4 სთ)

##### ლექციის მიმდინარეობის აღწერა

ლექციის საწყის ეტაპზე პედაგოგი გააცნობს სტუდენტებს განსახილველ თემატიკას.

#### სარეკომენდაციო თემატიკა

1. ნატურიდან გადმოხატვის მეთოდები;
2. სივრცეში ფანქრით დასახატი მოდელის გაზომვის მეთოდი;
3. მარტივი გეომეტრიული ფიგურის აგების მეთოდი;
4. შუქ-ჩრდილის გამოყენებით ვიზუალური ეფექტების მიღების მეთოდი;
5. ჩრდილის, ნახევარჩრდილის, განათების, რეფლექსის, დაცემული ჩრდილისა და ბლიკის გამოსახვის მეთოდი.

პროფესიულ სტუდენტს, საწყის ეტაპზე მხატვრობა რთულად ეჩვენება. მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს ეს წარმოსახვა გაუქარწყლოს, რადგან ხატვა სწავლებადია და მარტო ნიჭზე არ არის დამოკიდებული.

მასწავლებელი განმარტავს:

- ✚ ნატურიდან მოცემული საგნის გადმოხატვის მეთოდს;
- ✚ რომელი თაბაშირის ფიგურებია უკეთესი საწყის ეტაპზე დასახატად;
- ✚ რა ხელსაწყოები და მასალაა საჭირო;
- ✚ რა მანძილზეა უკეთესი მოცემული ფიგურის ან საგნის დახატვა;
- ✚ როგორ აღვიქვათ და გადმოვცეთ დასახატი გეომეტრიული სხეულები;
- ✚ ფანქრით სივრცეში მოცემული ფიგურის გაზომვის მეთოდს;
- ✚ პერსპექტივის წესებს;
- ✚ შუქ-ჩრდილის გამოყენებით მოცულობითი ფორმების გადმოცემას;
- ✚ თითოეული ეფექტის - ჩრდილის, ნახევარჩრდილის, განათების, რეფლექსის, დაცემული ჩრდილისა და ბლიკის გამოსახვის მეთოდს.


თეორიული ნაწილის სწავლებისას სასურველია პარალელურად კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი, მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენება.

ლექციის მეორე მონაკვეთის შემდეგ გამართეთ დისკუსია კითხვების დახმარებით. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტებში, მონათხრობი თემისადმი მოტივაციას ამაღლებს, ხელს უწყობს ყურადღების მობილიზაციაში.

სწავლის შედეგის შესაბამისი ცოდნის მიღების დასადასტურებლად შესაფასებელი პირი ქმნის მტკიცებულებას.



### 4.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 4)



კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით (ამ ტიპის ტესტის განმარტება იხ. გვ 11)

მოდული: ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

შედეგი № 4-ის (სწორად განმარტავს ნატურიდან საგნის დახატვის წესებს)

#### ტესტი

1. რითი იზომება დასახატი მოდელი სივრცეში?

ა) ფანქრით; ბ) სამლელით; გ) სახაზავით; დ) სანტიმეტრული ლენტით.

2. როგორი ფორმისაა კონუსი?

ა) იგივე სამკუთხედაა; ბ) წრიული ფორმისაა და აქვს ერთი წვერი და ერთი წრე; გ) იგივე კვადრატია; დ) მრავალკუთხედაა.

3. რომელია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურა?

ა) სამკუთხედი; ბ) ცილინდრი; გ) ჩარჩო; დ) სფერო.

4. რისი დახმარებით ვხედავთ ნახატში მოცულობას?

ა) სწორი კონტურით; ბ) შუქ-ჩრდილის გამოყენებით; გ) წერტილებით; დ) ჰორიზონტალური ხაზებით.

5. რისთვის გამოიყენება შვეული?

ა) გასაზომად; ბ) გასათლელად; გ) დასახატად; დ) დასახაზად.



#### 4.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 4) (16 სთ)

##### პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის აღწერა

სასწავლო პროცესის დაწყებამდე საჭიროა მასწავლებელმა მოამზადოს ხატვისათვის ყველა საჭირო ხელსაწყო და მასალა.

დასახატი მოდელის სწორად ჩერჩევასა და მის საჭირო ადგილას განთავსებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სტუდენტის მხედველობის არე უნდა აღიქვამდეს დასახატავ მოდელს მთლიანად და გარკვევით.

მე-4 შედეგის პრაქტიკული ნაწილის სწავლების საწყის ეტაპზე მასწავლებელი სტუდენტს აჩვენებს, თუ როგორ უნდა გადმოხატოს ნატურიდან გეომეტრიული ფიგურები:

- ✚ შევარჩიოთ დასახატავი მოდელი (გეომეტრიული ფიგურა - კონუსი, კუბი, სფერო, ცილინდრი);
- ✚ განვსაზღვროთ დასახატი მოდელის მასშტაბი იმისათვის, რომ სახატავ დაფაზე სწორად მივამაგროთ სახატავი ფურცელი (ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად);
- ✚ განვსაზღვროთ სახატავი ფურცლის ცენტრი;
- ✚ განვსაზღვროთ დასახატავი მოდელის ცენტრი;
- ✚ მოვნიშნოთ სახატავ ფურცელზე შერჩეული მოდელი კომპოზიციის პრინციპების გათვალისწინებით;
- ✚ დავაზუსტოთ დასახატი მოდელის სიგრძე;
- ✚ ფანქრის დახმარებით სივრცეში გავზომოთ დასახატი მოდელის განი და სხვა ზომები, თუ ასეთი აქვს მოცემულ მოდელს (ავიღოთ გათლილი ფანქარი, რომლის წვერიც მიმართული იქნება ზემოთ, გავასწოროთ თვალის დონეზე და გავშალოთ ხელი. დავხუჭოთ ცალი თვალი და შევუსაბამოთ ფანქრის წვერი დასახატავი მოდელის ერთ მხარეს და ისე მოვხაროთ ცერა თითი, რომ ემთხვეოდეს მოდელის მეორე მხარს);
- ✚ ზომები გადავიტანოთ სახატავ ფურცელზე ქალადის შვეულის დახმარებით;
- ✚ საბოლოოდ დავასრულოთ მოცემული მოდელის აგება.

მე-4 შედეგის პრაქტიკული ნაწილის სწავლებისას სავალდებულოა შესრულდეს ოთხი გეომეტრიული ფიგურის აგება და მოცულობითი ფორმის მიცემა (სფერო, კონუსი, ცილინდრი და კუბი )

გეომეტრიული სხეულების შესწავლა და დახატვა წარმოადგენს რთული ფორმების სამომავლოდ გამოსახვის საფუძველს.


პრაქტიკული სწავლების მეორე ეტაპზე ისწავლება აგებული გეომეტრიული ფიგურების მოცულობითი ფორმების შექმნა შუქ-ჩრდილების გამოყენებით. განათების დახმარებით ჩვენ ვხედავთ საგნებს მოცულობით ფორმაში. შუქ-ჩრდილის ასახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმისაა საგანი. მოცულობითი ფორმის მისაღებად ვიყენებთ:





- ✚ ჩრდილს;
- ✚ ნახევარ-ჩრდილს;
- ✚ რეფლექს;
- ✚ განათებას;
- ✚ დაცემულ-ჩრდილს
- ✚ ბლიკს (როცა დასახვატი საგანი პრიალა მასალისაა).

**შედეგი 4-ის მტიცებულება**  
 ტესტი, შესრულების მტიცებულება/პროდუქტი „check-list“ და შესრულებული ნამუშევარი

შეგროვებული მტიცებულებები განთავსდება მტიცებულებათა „პორტფოლიოში“

მაგალითი (შესრულებული ნამუშევარი)





#### 4.5. სტუდენტის შეფასება

პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება - შედეგი 4 - „check-list“

მაგალითი:

პროფესიული სტუდენტი: -----

მოდული	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა												
სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმი	ნატურიდან სხვადასხვა საგნების დახატვა შესრულების კრიტერიუმები 2-4												
შეფასების მიმართულება	პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება												
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება												
აღწერა	<p>პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.</p> <p>პრაქტიკული დავალება ეფუძნება სტუდენტის მიერ ინსტრუქციის სწორად შესრულებას და შედეგიდან ვალიდური დასკვნის გამოტანას.</p> <p>პრაქტიკული დავალება განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის იმ შედეგების შესაფასებლად, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების გამოყენებას, მასთან დაკავშირებულ ცოდნას და გაგების უნარს.</p>												
შეფასების სქემა	<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება</th> <th colspan="2">შეფასება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.</td> <td>სწორად არის აგებული გეომეტრიული ფიგურა (კონუსი)</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>2.</td> <td>კომპოციურად სწორად არის განაწილებული გეომეტრიული ფიგურა (კონუსი)</td> <td>დიახ</td> <td>არა</td> </tr> </tbody> </table>	№	ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება	შეფასება		1.	სწორად არის აგებული გეომეტრიული ფიგურა (კონუსი)	დიახ	არა	2.	კომპოციურად სწორად არის განაწილებული გეომეტრიული ფიგურა (კონუსი)	დიახ	არა
№	ფურცელზე ნახატის კომპოზიციური განაწილება	შეფასება											
1.	სწორად არის აგებული გეომეტრიული ფიგურა (კონუსი)	დიახ	არა										
2.	კომპოციურად სწორად არის განაწილებული გეომეტრიული ფიგურა (კონუსი)	დიახ	არა										

	3.	სწორად აქვს მიცემული მოცულობითი ფორმა შუქ-ჩრდილრების გამოყენებით გეომეტრიულ ფიგურას (კონუსი)	დიახ	არა	
	4.	სწორად არის აგებული გეომეტრიული ფიგურა (სფერო)	დიახ	არა	
	5.	კომპოციურად სწორად არის განაწილებული გეომეტრიული ფიგურა (სფერო)	დიახ	არა	
	6.	სწორად აქვს მიცემული მოცულობითი ფორმა შუქ-ჩრდილრების გამოყენებით გეომეტრიულ ფიგურას (სფერო)	დიახ	არა	
	7.	სწორად არის აგებული გეომეტრიული ფიგურა (ცილინდრი)	დიახ	არა	
	8.	კომპოციურად სწორად არის განაწილებული გეომეტრიული ფიგურა (ცილინდრი)	დიახ	არა	
	9.	სწორად აქვს მიცემული მოცულობითი ფორმა შუქ-ჩრდილრების გამოყენებით გეომეტრიულ ფიგურას (ცილინდრი)	დიახ	არა	
	10.	სწორად არის აგებული გეომეტრიული ფიგურა (კუბი)	დიახ	არა	
	11.	კომპოციურად სწორად არის განაწილებული გეომეტრიული ფიგურა (კუბი)	დიახ	არა	
	12.	სწორად აქვს მიცემული მოცულობითი ფორმა შუქ-ჩრდილრების გამოყენებით გეომეტრიულ ფიგურას (კუბი)	დიახ	არა	
	<p><b>სწავლის შედეგი 4 დადასტურდება, თუ სტუდენტი შეძლებს მინიმუმ 10 პუნქტის შესრულებას</b></p>				

# სწავლის შედეგი 5

წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების  
შესრულება



### 5.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 5	4	11	2	1	18

საათების განაწილების მიხედვით მეხუთე შედეგში ისწავლება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობა. თეორიულ მეცადინეობას დათმობილი აქვს - 4 საათი, პრაქტიკულს - 11 საათი, დამოუკიდებელი საათი არის 2 საათი (სტუდენტი დამოუკიდებლად გაეცნობა მითითებულ ლიტერატურაში თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს) და 1 საათი დათმობილი აქვს სტუდენტის შეფასებას (თეორიული და პრაქტიკული). ჯამში შედეგის განსახორციელებლად მითითებულია 15 საკონტაქტო, 2 დამოუკიდებელი და 1 შეფასების საათი.



### 5.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 5) (4 სთ)


#### ლექციის მიმდინარეობის აღწერა

ლექციის საწყის ეტაპზე პედაგოგი გააცნობს სტუდენტებს განსახილველ თემატიკას.

#### სარეკომენდაციო თემატიკა

1. ფერის დაშლის მეთოდები;
2. აქრომატული ფერი;
3. ქრომატული ფერი;
4. სპექტრი;
5. კონტრასტული ფერები;
6. წყლის საღებავებით ხატვის ტექნიკური ხერხები.

ფერები არის - აქრომატული და ქრომატული, ძირითადი ფერები, შედგენილი ფერები; თბილი ფერები, ცივი ფერები, კონტრასტული ფერები.



მასწავლებელი განმარტავს:


- ✚ რა ფერებია აქრომატული;
- ✚ რა ფერებია ქრომატული;
- ✚ რომელია ძირითადი ფერები;
- ✚ რა ფერები ერევა ერთმანეთს, რომ მივიღოთ შერეული ფერები;
- ✚ რომელია თბილი ფერები;
- ✚ რომელია ცივი ფერები;
- ✚ რომელია სპექტრის ფერები;
- ✚ როგორ ვიღებთ ფერის გრადაციას;
- ✚ როგორ ხდება აკვარელი საღებავის პალიტრაზე გახსნა წყლის გამოყენებით;
- ✚ რამდენი ფენა საღებავი შეიძლება გამოვიყენოთ აკვარელის საღებავებით ხატვის დროს.
- ✚ და სხვა.

ლექციის მეორე მონაკვეთის შემდეგ გამართეთ დისკუსია კითხვების დახმარებით. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტებში მონათხრობი თემისადმი მოტივაციას ამაღლებს, ხელს უწყობს ყურადღების მობილიზაციაში.

სწავლის შედეგის შესაბამისი ცოდნის მიღების დასადასტურებლად შესაფასებელი პირი ქმნის მტკიცებულებას.



5.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 5)



კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით (ამ ტიპის ტესტის განმარტება იხ. გვ 11)

მოდული: ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

შედეგი № 5-ის (სწორად განმარტავს ფერმცოდნეობის ძირითად პრინციპებს)

ტესტი

1. აქრომატული ფერებია?

ა) თეთრი, ნაცრისფერი, შავი; ბ) წითელი, ყვითელი; გ) მწვანე, ლურჯი; დ)წითელი, ყავისფერი.

2. ქრომატული ფერებია?

ა) წითელი, ყვითელი; ბ) ნაცრისფერი, შავი; გ) შავი, თეთრი; დ) თეთრი, ნაცრისფერი.

3. ძირითადი ფერებია?

ა) წითელი, მწვანე, შავი; ბ) წითელი, ლურჯი, მწვანე; გ) წითელი, ნარინჯისფერი, თეთრი; დ) წითელი, ყავისფერი, ლურჯი.

4. რომელია ცივი ფერი?

ა) ცისფერი; ბ) წითელი; გ) ყვითელი; დ) ყავისფერი.

5. რომელია თბილი ფერი?

ა) შავი; ბ) ცისფერი; გ) ყვითელი; დ) ლურჯი.

#### 5.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 5) (11 სთ)

##### პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის აღწერა



სასწავლო პროცესის დაწყებამდე საჭიროა მასწავლებელმა მოამზადოს ხატვისათვის ყველა საჭირო ხელსაწყო და მასალა.

მასწავლებელი მე-5 შედეგის პრაქტიკული ნაწილის სწავლისას პროფესიულ სტუდენტს აჩვენებს ფერში ხატვის სხვადასხვა ტექნიკურ ხერხს:

- ✚ ფერთა ძირითად პალიტრას;
- ✚ აკვარელის საღებავის ფუნჯის შერჩევას ზომებისა და ხარისხის მიხედვით;
- ✚ გამჭვირვალე მინის ქილაში წყლის ზომიერ ჩასხმასა და მომზადებას;
- ✚ როგორ იხსნება წყალში აკვარელის საღებავი;
- ✚ ერთი ფერის დაშლას (გრადაცია);
- ✚ ფერთა შერევით სხვადასხვა ფერის მიღებას (წყლის საღებავი);
- ✚ აკვარელის საღებავით ხატვისას გამჭვირვალე, თხელი ფენის მიღებას;
- ✚ როგორ ავიცილოთ ნამუშევრის გაჭუჭყიანება;
- ✚ წყლის საღებავით მუშაობისას სახატავი დაფის დახრის წესს (ზედმეტი დახრის დროს საღებავი ცუდად იწვეთება);
- ✚ აკვარელის საღებავით სველი და მშრალი ტექნიკით ხატვის მეთოდებს;
- ✚ რაიმე ერთი ნივნის ან საგნის აკვარელის საღებავით ფერში შესრულებას;
- ✚ ნამუშევრის დასრულებისას წყლის საღებავების შენახვასა და მოვლას.

ზემოთ ჩამოთვლილი ფერში ხატვის ტექნიკური ხერხები სტუდენტებს დაეხმარებათ თანდათანობით აითვისონ აკვარელის ტექნიკა და დახვეწონ ოსტატობა.


**სტუდენტი მე-5 შედეგის დასადასტურებლად ხატავს:**

1. ერთი ფერის გრადაციას;
2. ერთ მარტივ დასახატ მოდელს ფერში აკვარელი საღებავებით (ხილი, ბოსტნეული)

შედეგი 5-ის მტიცებულება  
ტესტი, შესრულების მტიცებულება/პროდუქტი „check-list“ და შესრულებული  
ნამუშევარი

შეგროვებული მტიცებულებები განთავსდება მტიცებულებათა „პორტფოლიოში“

მაგალითი (შესრულებული ნამუშევარი)



## 5.5. სტუდენტის შეფასება

პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება - შედეგი 5 - „check-list“

მაგალითი:

პროფესიული სტუდენტი: -----

მოდული	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა														
სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმი	წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება  შესრულების კრიტერიუმები 2-5														
შეფასების მიმართულება	პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება														
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება														
აღწერა	<p>პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.</p> <p>პრაქტიკული დავალება ეფუძნება სტუდენტის მიერ ინსტრუქციის სწორად შესრულებას და შედეგიდან ვალიდური დასკვნის გამოტანას.</p> <p>პრაქტიკული დავალება განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის იმ შედეგების შესაფასებლად, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების გამოყენებას, მასთან დაკავშირებულ ცოდნას და გაგების უნარს.</p>														
შეფასების სქემა	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="width: 5%;">№</th> <th style="width: 70%;">წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება</th> <th colspan="2" style="width: 25%;">შეფასება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="text-align: center;">1.</td> <td>სწორად არის გრადაციისთვის დახაზული ჩარჩო</td> <td style="text-align: center;">დიახ</td> <td style="text-align: center;">არა</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">2.</td> <td>ზუსტად არის შესრულებული ერთი ფერის დაშლა (გრადაცია)</td> <td style="text-align: center;">დიახ</td> <td style="text-align: center;">არა</td> </tr> </tbody> </table>			№	წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება	შეფასება		1.	სწორად არის გრადაციისთვის დახაზული ჩარჩო	დიახ	არა	2.	ზუსტად არის შესრულებული ერთი ფერის დაშლა (გრადაცია)	დიახ	არა
№	წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება	შეფასება													
1.	სწორად არის გრადაციისთვის დახაზული ჩარჩო	დიახ	არა												
2.	ზუსტად არის შესრულებული ერთი ფერის დაშლა (გრადაცია)	დიახ	არა												

	3.	სწორად არის შერჩეული დასახატი მოდელი	დიახ	არა
	4.	სწორად არის ფურცელზე აგებული დასახარი მოდელი	დიახ	არა
	5.	ნახარში ზუსტად არის გადმოცემული მოდელის მოცულობითი ფორმა აკვარელის საღებავების გამოყენებით	დიახ	არა
	6.	სწორად აქვს ნამუშევარს დასრულებული სახე მიცემული	დიახ	არა
სწავლის შედეგი 5 დადასტურდება, თუ სტუდენტი შეძლებს მინიმუმ 5 კუნქტის შესრულებას				



# სწავლის შედეგი 6

## ნატურმორტის დახატვა



### 6.1. მოდულში მოცემული საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 6	2	37	2	1	42

საათების განაწილების მიხედვით მეექვსე შედეგში ისწავლება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობა. თეორიულ მეცადინეობას დათმობილი აქვს - 2 საათი, პრაქტიკულს - 37 საათი, დამოუკიდებელი საათი არის 2 საათი (სტუდენტი დამოუკიდებლად გაეცნობა მითითებულ ლიტერატურაში თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს) და 1 საათი დათმობილი აქვს სტუდენტის შეფასებას (თეორიული და პრაქტიკული). ჯამში შედეგის განსახორციელებლად მითითებულია 39 საკონტაქტო, 2 დამოუკიდებელი და 1 შეფასების საათი.



### 6.2. თეორიული ნაწილი (შედეგი 6) (2 სთ)

#### ლექციის მიმდინარეობის აღწერა

ლექციის საწყის ეტაპზე პედაგოგი გააცნობს სტუდენტებს განსახილველ თემატიკას

#### სარეკომენდაციო თემატიკა

1. ნატურმორტის წარმოშობის ისტორია;
2. ფანქარში მარტივი ნატურმორტის ხატვის მეთოდები;
3. ფანქარში დახატული კომპოზიციის ფერში შესასრულებლად მომზადების მეთოდი;
4. ფერში ნატურმორტის შესრულების მეთოდები.

ნატურმორტი - არის ერთ-ერთი მიმდინარეობა გამომსახველობით ხალოვნებისა, რომლის სახელწოდებაც მიმდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „nature morte“-დან, რაც ნიშნავს „უსულოს, არა-ცოცხალ ნატურას“.

მასწავლებელი თეორიული სწავლებისას განმარტავს:


- ✚ როდიდან ჩაეყარა საფუძველი ნატურმორტის ხატვის ისტორიას;
- ✚ აცნობს მსოფლიოში ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს;

- ✚ ნატურმორტი, როგორც ინტერიერის დეკორს;
- ✚ რატომ არის სამხატვრო სკოლების პრიორეტიტული ჟანრი;


ლექციის მეორე მონაკვეთის შემდეგ გამართეთ დისკუსია კითხვების დახმარებით. აღნიშნული სტრატეგია სტუდენტებში მონათხრობი თემისადმი მოტივაციას ამაღლებს, ხელს უწყობს ყურადღების მობილიზაციაში.

სწავლის შედეგის შესაბამისი ცოდნის მიღების დასადასტურებლად შესაფასებელი პირი ქმნის მტკიცებულებას.

**სასურველია ლექციისას სტუდენტს ვაჩვენოთ მარტივი ნატურმორტის დახატვის ეტაპები (მასალის შესაბამისი ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ რესურსის გამოყენებით)**



### 6.3. სტუდენტის შეფასება - წერილობითი მტკიცებულება (ტესტი - შედეგი 6)



კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით (ამ ტიპის ტესტის განმარტება იხ. გვ 11)

მოდული: ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

შედეგი № 6-ის (სწორად აღწერს ნატურმორტის ძირითად თავისებურებებს)

#### ტესტი

1. რა არის ნატურმორტი?

ა) რამოდენიმე ნივთისაგან შექმნილი კომპოზიცია; ბ) ერთი ნივთის ხატვა; გ) შიშველი ნატურის ხატვა; დ) პეიზაჟის ხატვა.

2. ევროპაში რომელ საუკუნეში გამოჩნდა პირველად ნატურმორტი?

ა) მე-14ს; ბ) მე-17ს; გ) მე-19ს; დ) მე-20ს.

3. რას ვაკეთებთ, თუ აკვარელის საღებავით შესრულებული ნატურმორტი გაგვიჭუჭყიანდა?

ა) სველი ღრუბლით ჩამოვრეცხავთ; ბ) საშლელით წავშლით; გ) ვხატავთ თავიდან; დ) ვერაფერს-ნამუშევარი გაფუჭდა.

4. როგორი ქაღალდი იკვრება პლანშეტზე?

ა) მშრალი; ბ) სველი; გ) დასვრილი; დ) გასანთლული.

#### მტკიცებულების დადასტურება (ტესტი)

მოდულის ხუთი სწავლის შედეგის მტკიცებულებაში (1,3,4,5,6) სტუდენტი აბარებს წერილობით მტკიცებულებას (ტესტი). მასწავლებელმა შესაძლებელია თითოეული შედეგის დასრულების შემდეგ დაადასტურებინოს სტუდენტს წერილობითი მტკიცებულებით (ტესტი) ან მოდულის დასრულებისას საერთო ტესტით.



#### 6.4. პრაქტიკული ნაწილი (შედეგი 6) (37 სთ)

##### პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის აღწერა

მასწავლებელი სწავლის პირველ ეტაპზე აჩვენებს ფანქარში ნატურმორტის ხატვის შესაძლებლობებს.

ძირითადად ნატურმორტი იწყობა სამზარეულოს ნივთებისაგან - ფაიფური, თიხა, მინა, ხილი, ბოსტნეული, ქსოვილის დრაპირება და სხვ. სასურველია ნატურმორტისთვის შერჩეული საგნები გამოირჩეოდეს მრავალფეროვნებით და თითოეული ნივთი ეწყობოდეს ერთმანეთს.

##### ფანქარში ნატურმორტის შესრულება

პედაგოგი აჩვენებს ფანქარში ნატურმორტის ხატვის ეტაპებს:

- ✚ ხატვის დაწყების წინ მოვიმარჯვოთ რამდენიმე ნომრის უბრალო ფანქარი (კარგი გათლილი);
- ✚ დასახატავ ქაღალდად შევარჩიოთ ვატმანის ფორმატის მეოთხედი ნაწილი;
- ✚ სახატავ ხის დაფაზე დავამაგროთ ვატმანის ქაღალდი ჭიკარტებით;
- ✚ ფურცელზე მოვნიშნოთ ნატურმორტის საზღვრები - ყველაზე განიერი და ყველაზე მაღალი ადგილი;
- ✚ მოვნიშნავთ სადგამს, რომელზეც ნატურმორტია მოთავსებული;
- ✚ აღვნიშნავთ ნატურმორტში არსებული საგნების სიმაღლესა და განს;
- ✚ ყველა მონიშვნა აღვნიშნავთ ფანქრის მქრთალი;
- ✚ მონიშნული ხაზებით არსებული საგნები შევკრათ ხაზებით;
- ✚ აგებულ საგნებზე ვიწყებთ მოცულობითი ფორმების მიცემას შუქ-ჩრდილების გამოყენებით;
- ✚ ვასრულებთ ნატურმორტს ფანქარში საბოლოო ვიზუალური ეფექტის მისაღებად.



მასწავლებელი სწავლის მეორე ეტაპზე აჩვენებს ფერში ნატურმორტის ხატვის შესაძლებლობებს.

### ფერში ნატურმორტის შესრულება

პედაგოგი აჩვენებს აკვარელის საღებავებით შესრულებული ნატურმორტის ხატვის ეტაპებს:

- ✚ ხატვის დაწყების წინ მოვიმარჯვოთ ყველა საჭირო ხელსაწყო და მასალა (ფანქარი, საშლელი, სათლელი, აკვარელის საღებავი, აკვარელის ფუნჯები, აკვარელის ქაღალდი, პალიტრა, მინის გამჭვირვალე ქილა);
- ✚ ნატურმორტის ხატვის წინ უმჯობესია აკვარელის ქაღალდი პლანშეტზე გადავაკრათ;
- ✚ პლანშეტზე გადაკვრის მეთოდი - ვასველებთ სახატავ ქაღალდს, ვაფენთ სუფთა მაგიდაზე, დასველებულ ქაღალდს ვადებთ პლანშეტს, ჭიკარტების დახმარებით ვამაგრებთ პლანშეტზე დასველებული ქაღალდის გვერდებს. არ შეიძლება გადაკვრის დროს ქაღალდის ძაიან გაჭიმვა, რადგანაც მოსალოდნელია გამრობის შემთხვევაში ქაღალდი ნაპირებში გასკდეს. კარგად გადაკრული პლანშეტი სტუდენტებს გაუადვილებს ხატვას;
- ✚ აქაც ფურცელზე მოვნიშნოთ ნატურმორტის საზღვრები - ყველაზე განიერი და ყველაზე მაღალი ადგილი;
- ✚ მოვნიშნავთ სადგამს, რომელზეც ნატურმორტია მოთავსებული;
- ✚ აღვნიშნავთ ნატურმორტში არსებული საგნების სიმაღლესა და განს;
- ✚ ყველა მონიშვნა აღინიშნება ფანქრის მქრთალი ხაზებით;
- ✚ მონიშნული ხაზებით არსებული საგნები შევკრათ;
- ✚ ფანქარში ნატურმორტის მონიშვნისა და აგების შენდეგ ვასუფთავებთ ნატურმორტს ზედმეტი ხაზებისაგან (შესაძლებელია ფანქარში დასრულებული ნატურმორტი ფერში დაწყების წინ სველი ღრუბლით ნაზად ჩამოვრეცხოთ);
- ✚ ვიწყებთ აკვარელის საღებავით ფერის დადებას;
- ✚ სასურველია პირველი ფენის დადების შემდეგ გაშრეს საღებავი და მეორე ფერი ისე დავადოთ;
- ✚ ვაგრძელებთ ფერში მუშაობას, სანამ არ მივიღებთ სასურველ ეფექტს;
- ✚ ვასრულებთ ნატურმორტს ფერში საბოლოო ვიზუალური ეფექტის მისაღებად.








შედეგი 6-ის მტიცებულება  
ტესტი, შესრულების მტიცებულება/პროდუქტი „check-list“ და შესრულებული  
ნამუშევარი





შეგროვებული მტიცებულებები განთავსდება მტიცებულებათა „პორტფოლიოში“

მაგალითი (შესრულებული ნამუშევარი)

ფანქარში შესრულებული ნატურმორტი



ფერში შესრულებული ნატურმორტი



## 6.5. სტუდენტის შეფასება

(პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება - შედეგი 6)

მაგალითი:

პროფესიული სტუდენტი: -----

მოდული	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა																						
სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმი	ნატურმორტის დახატვა შესრულების კრიტერიუმები 2-3																						
შეფასების მიმართულება	პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება																						
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება																						
აღწერა	<p>პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.</p> <p>პრაქტიკული დავალება ეფუძნება სტუდენტის მიერ ინსტრუქციის სწორად შესრულებას და შედეგიდან ვალიდური დასკვნის გამოტანას. პრაქტიკული დავალება განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის იმ შედეგების შესაფასებლად, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების გამოყენებას, მასთან დაკავშირებულ ცოდნას და გაგების უნარს.</p>																						
შეფასების სქემა	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="width: 5%;">№</th> <th style="width: 70%;">ნატურმორტის დახატვა ფანქარში და ფერში</th> <th colspan="2" style="width: 25%;">შეფასება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="text-align: center;">1.</td> <td>კომპოზიციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სწორად არის განაწილებული ნატურმორტი ფანქარში (ნატურმორტი 1)</td> <td style="text-align: center;">დიახ</td> <td style="text-align: center;">არა</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">2.</td> <td>სწორად არის აგებული ნატურმორტში ფანქრით არსებული საგნები (ნატურმორტი 1)</td> <td style="text-align: center;">დიახ</td> <td style="text-align: center;">არა</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">3.</td> <td>სწორად არის ნატურმორტში ფანქრით მოცულობითი ფორმები გადმოცემული შუქ/ჩრდილების გამოყენებით (ნატურმორტი 1)</td> <td style="text-align: center;">დიახ</td> <td style="text-align: center;">არა</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">4.</td> <td>კომპოზიციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სწორად არის განაწილებული ნატურმორტი ფანქარში (ნატურმორტი 2)</td> <td style="text-align: center;">დიახ</td> <td style="text-align: center;">არა</td> </tr> </tbody> </table>			№	ნატურმორტის დახატვა ფანქარში და ფერში	შეფასება		1.	კომპოზიციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სწორად არის განაწილებული ნატურმორტი ფანქარში (ნატურმორტი 1)	დიახ	არა	2.	სწორად არის აგებული ნატურმორტში ფანქრით არსებული საგნები (ნატურმორტი 1)	დიახ	არა	3.	სწორად არის ნატურმორტში ფანქრით მოცულობითი ფორმები გადმოცემული შუქ/ჩრდილების გამოყენებით (ნატურმორტი 1)	დიახ	არა	4.	კომპოზიციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სწორად არის განაწილებული ნატურმორტი ფანქარში (ნატურმორტი 2)	დიახ	არა
№	ნატურმორტის დახატვა ფანქარში და ფერში	შეფასება																					
1.	კომპოზიციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სწორად არის განაწილებული ნატურმორტი ფანქარში (ნატურმორტი 1)	დიახ	არა																				
2.	სწორად არის აგებული ნატურმორტში ფანქრით არსებული საგნები (ნატურმორტი 1)	დიახ	არა																				
3.	სწორად არის ნატურმორტში ფანქრით მოცულობითი ფორმები გადმოცემული შუქ/ჩრდილების გამოყენებით (ნატურმორტი 1)	დიახ	არა																				
4.	კომპოზიციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სწორად არის განაწილებული ნატურმორტი ფანქარში (ნატურმორტი 2)	დიახ	არა																				

	5.	სწორად არის აგებული ნატურმორტი ფანქრით არსებული საგნები (ნატურმორტი 2)	დიახ	არა
	6.	სწორად არის ნატურმორტი აკვარელის საღებავის გამოყენებით მოცულობითი ფორმები გადმოცემული (ნატურმორტი 2)	დიახ	არა
	7.	ფერწერულად არის ნატურმორტი დახატული (ნატურმორტი 2)	დიახ	არა
	8.	სუფთად არის შესრულებული ნატურმორტი აკვარელში (ნატურმორტი 2)		
სწავლის შედეგი 6 დადასტურდება, თუ სტუდენტი შეძლებს მინიმუმ 6 პუნქტის შესრულებას				

**მთლიანი საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა**

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 1	4	5	1	1	11
სწავლის შედეგი 2	0	6	4.5	0.5	11
სწავლის შედეგი 3	3	11	5	1	20
სწავლის შედეგი 4	4	16	2	1	23
სწავლის შედეგი 5	4	11	2	1	18
სწავლის შედეგი 6	2	37	2	1	42
სულ:	17	86	16.5	5.5	125

**პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე უმეტესწილად ინტეგრირებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები**

## რას ნიშნავს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება



კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება - გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ რამდენად შეუძლიათ სტუდენტებს შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაბამისად გამოყენება. ამგვარად შეფასების დროს უპირატესობა ენიჭება პრაქტიკული საქმიანობის შეფასებას, თუმცა ეს არ უგულებელყოფს ცოდნისა და უნარების მნიშვნელობას. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიზანია - უზრუნველყოს შეფასების შესაბამისობა დასაქმების მოთხოვნებთან.

სწავლება-სწავლის პროცესში კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასებისთვის მნიშვნელოვანია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების (ნამუშევრების) შეგროვება, რომლებიც წარმოაჩენენ საქმიანობის შედეგებს: აუდიტორიაში, პრაქტიკის დროს, მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში და სწავლის დასრულებისას.

შეფასების პროცესი გულისხმობს სტუდენტის მიერ ცოდნისა და უნარების შესაბამისი მტკიცებულებების შექმნასა და შეგროვებას, სტუდენტის მიღწევების დონის დადგენას პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

ნებისმიერი შეფასება უნდა იცავდეს შემდეგ პრინციპებს:

- ✚ ვალიდურობას;
- ✚ სანდოობას;
- ✚ მოქნილობას;
- ✚ სიმარტივეს;
- ✚ მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

შეფასების მიმართულებებია: პროცესზე დაკვირვება, მტკიცებულების (პროდუქტის/შედეგის) შეფასება, გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური უნარები).



## სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოება

შეფასება არის ხარისხის უზრუნველყოფის ღონიზომიებების ჩარჩოს ნაწილი. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. დაცული უნდა იყოს შეფასების შედეგების დოკუმენტაციის წარმოების, შენახვისა და ხელმისაწვდომობის ყველა წესი.

სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების დოკუმენტაცია ინახება - „პორტფოლიოში“. აღნიშნული დოკუმენტები ეხმარება შემფასებელსა და შესაფასებელ პირსაც შეაგროვონ, წარმოადგინონ პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მტკიცებულებები. პორტფოლიო ხელს უწყობს შეფასების შედეგების დოკუმენტაციის წარმოებას, რაც გარე ვერიფიკატორს ეხმარება განსაზღვროს თუ რა ეტაპს მიაღწია შესაფასებელმა პირმა გარკვეული მოდულის დასრულების შემდეგ. შეფასების დოკუმენტაცია შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმატის. ნებისმიერი ფორმატის შემთხვევაში დოკუმენტმა უნდა ასახოს ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, ასევე უნდა გამოავლინოს შემფასებლის მიერ მიღებული შეფასების გადაწყვეტილების შესაბამისობა შეფასების სტანდარტებთან. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად არის განთავსებული მტკიცებულება, რათა გარე ვერიფიკატორმა შეძლოს მისი მოძიება და შემოწმება.

## სტუდენტის



## პორტფოლიო

მასწავლებლის სარეკომენდაციო კალენდარული გეგმა

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი - ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა 0210104

პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა - მესამე

მოდულის კრედიტების რაოდენობა - 5

კვირის №	თარიღი, დღე, თვე, წელი	თემატიკა	თეორიული	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	შეფასება	
<b>კვირაში შესაძლებელია პედაგოგის სწავლების საკონტაქტო 10 საათი იყოს (მეტიც ან ნაკლებიც, რომელსაც გადაწყვიტავს პედაგოგთან ერთად პროფესიული კოლეჯი)</b>							
<b>სწავლის შედეგი 1</b>							
<b>I</b>	00.00.-2016	თეორიული (1)	აკადემიური ხატვის სახელოსნოსტუდიის აღწერა; აკადემიური ხატვის (გრაფიკა, ფერწერა) სამუშაო ადგილის მომზადების წესი; ფანქარში ხატვის ხელსაწყოებისა და მასალის სახეები; ფერში ხატვის ხელსაწყოებისა და მასალის სახეები.	4	5	1	0,5 ტესტი (შედ.1) 0.5 შესრულების მტკიცებულება (შედ.1)
		პრაქტიკული (1)	ხატვის ტექნიკური საშუალებები; ხატვის (გრაფიკა, ფერწერა) სამუშაო ადგილის მომზადება; ხატვის (გრაფიკა) ხელსაწყოებისა და მასალის მომზადება; ფერწერისათვის (წყლის საღებავი) განკუთვნილი ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა.				
<b>სწავლის შედეგი 2 - 3</b>							
<b>II</b>	00.00.-2016	პრაქტიკული (2)	ფანქრით შესრულებული გრადაცია (დია ტონალობიდან მუქ ტონალობამდე); ქოტური შტრიხები; ერთმანეთის პარალელურად მიწყობილი შტრიხები (დახრილი); ერთმანეთის პარალელურად მიწყობილი შტრიხები (ჰორიზონტალურ მდგომარეობაში); გადაკვეთილი შტრიხები; ოვალური ფორმის შტრიხები; შტრიხი - ჰორიზონტალური, დიაგონალური და ვერტიკალური მიმართულებით;	3	6	4.5	0,5 შესრულების მტკიცებულება (შედ.2) 0.5 ტესტი (შედ.3)

		თეორიული (3)	ვიზუალური კომპოზიციის (სიმბოლე - წონასწორობა, სიმეტრია - ასიმეტრია, სტატიკა - დინამიკა, რიტმი, პროპორცია, კონტრასტი, ნიუანსი) შესრულების მეთოდი; მონოკომპოზიციის შესრულების მეთოდი; გამომსახველობითი საშუალებების გადმოცემის მეთოდი.				
<b>სწავლის შედეგი 3</b>							
III	00.00.-2016	პრაქტიკული (3)	გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიცია; თავისუფალი მონოკომპოზიცია.	0	10	5	0
<b>სწავლის შედეგი 3 - 4</b>							
IV	00.00.-2016	პრაქტიკული (3)	თავისუფალი მონოკომპოზიცია.	4	5.5	2	0.5 პროდუქტი (შედ 3)
		თეორიული (4)	ნატურიდან გადმოხატვის მეთოდები; სივრცეში ფანქრით დასახატი მოდელის გაზომვის მეთოდი; მარტივი გეომეტრიული ფიგურის აგების მეთოდი; შუქ-ჩრდილის გამოყენებით ვიზუალური ეფექტების მიღების მეთოდი; ჩრდილის, ნახევარჩრდილის, განათების, რეფლექსის, დაცემული ჩრდილისა და ბლიკის გამოსახვის მეთოდი.				
		პრაქტიკული (4)	გადმოხატვის მეთოდები;				
<b>სწავლის შედეგი 4</b>							
V	00.00.-2016	პრაქტიკული (4)	კონუსის ხატვა; სფეროს ხატვა; ცილინდრის ხატვა; კუბის ხატვა.	0	10	0	0
<b>სწავლის შედეგი 4-5</b>							
VI	00.00.-2016	პრაქტიკული (4)	კუბის ხატვა.	4	5	2	0.5 პროდუქტი (შედ.4) 0.5 ტექსტი
		თეორიული (5)	ფერის დაშლის მეთოდები; აქრომატული ფერი;				

			ქრომატული ფერი; სპექტრი; კონტრასტული ფერები; წყლის საღებავებით ხატვის ტექნიკური ხერხები.				
		პრაქტიკული (5)	ერთი ფერის დამლა (გრადაცია); წყლის საღებავებით ხატვის ტექნიკური ხერხები.				
<b>სწავლის შედეგი 5 - 6</b>							
<b>VII</b>	00.00.-2016	პრაქტიკული (5)	აკვარელის საღებავით სველი და მშრალი ტექნიკით ხატვა; ერთი ნივნის ან საგნის აკვარელის საღებავით ფერში შესრულება.	2	7.5	2	0.5 პროდუქტი (შედ.5)
		თეორიული (6)	ნატურმორტის წარმოშობის ისტორია; ფანქარში მარტივი ნატურმორტის ხატვის მეთოდები; ფანქარში დახატული კომპოზიციის ფერში შესასრულებლად მომზადების მეთოდები; ფერში ნატურმორტის შესრულების მეთოდები.				
<b>სწავლის შედეგი 6</b>							
<b>VIII</b>	00.00.-2016	პრაქტიკული (6)	ფანქარში ნატურმორტის მონიშვნა; ფანქარში ნატურმორტის აგება.	0	9.5	0	0.5 ტესტი (შედ.6)
<b>სწავლის შედეგი 6</b>							
<b>IX</b>	00.00.-2016	პრაქტიკული (6)	აგებული ნატურმორტის ფანქარში მოცულობითი ფორმების მიცემა შუქ-ჩრდილების გამოყენებით; ფერში შესასრულებელი ნატურმორტის პლანშეტის მომზადება (გადაკვრა ქაღალდის).	0	10	0	0
<b>სწავლის შედეგი 6</b>							
<b>X</b>	00.00.-2016	პრაქტიკული (6)	ფერში შესასრულებელი ნატურმორტის აგება ფანქარში; ფანქარში დახატული კომპოზიციის მომზადება ფერში შესასრულებლად; ფერის დადება აგებულ ნატურმორტზე;	0	10	0	0
<b>სწავლის შედეგი 6</b>							
<b>XI</b>	00.00.-2016	პრაქტიკული (6)	ფერში შესრულებული ნატურმორტის საბოლოო სახის მიცემა.	0	7	0	0.5 პროდუქტი (შედ.6)
<b>სულ საათების რაოდენობა</b>				<b>17</b>	<b>86</b>	<b>16.5</b>	<b>5.5</b>

## მოდულის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა

1. დემონსტრირების ციფრული საშუალებები (პროექტორი/მონიტორი);
2. კომპიუტერი მასწავლებელს;
3. სამხატვრო სკამი (ტუმბო);
4. სახატავი სადგამი;
5. ნატურმორტის დასადგამი მაგიდა;
6. სახატავი დაფა;
7. თაბაშირის ფიგურა - სფერო, ცილინდრი, კონუსი, კუბი;
8. ნატურმორტის - დოქი, ფიალა, ბოთლი, ხილი, დრაპირების ქსოვილი და სხვ.;
9. წყლის გასაზავებელი ჭურჭელი;
10. უბრალო შავი ფანქარი;
11. საშლელი;
12. ჭიკარტი;
13. სათლელი დანა (საკანცელარიო);
14. სახატავი ქაღალდი (ვატმანის და აკვარელის ქაღალდი);
15. აკვარელის საღებავი 24 ფერიანი;
16. აკვარელის ფუნჯები;
17. შავი ტუში.

### გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტუდენტებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოს ერთი თავი - „ფანქრით და წყლის საღებავებით ხატავა“ ;
2. მიქაბერიძე მ. გრაფიკა, ფერწერა, ქანდაკება, გამომცემლობა “დია”,2004
3. Н. Ли. "Основа учебного академического рисунка"
4. <https://www.pinterest.com/search/pins/>

